ოქმი:**ო31.31203251**
თარიღი:**20/11/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი № 10

ქ.ლანჩხუთი

19.11.2020 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**
კომისიის წევრები: ოთარ პატიეშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, ზურა კუკულავა, ზაალ სანაძე, გოგი მორჩილაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.
მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კარლო კვიტაიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;

მომხრე 7; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია 11, 850, 4 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრების მიერ 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები: კერძოდ;

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას საშვებულებო თანხა.

2. საკრებულოში დასაქმებულ თანამშრომელთა სახელფასო ფონდი გაიზარდოს შესაძლებლობის ფარგლებში.

3. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციული ერთეულის შენობის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა და ინტერნეტიზაცია , ასევე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის სამუშაო ოთახების მოწესრიგება.

4. საკრებულოს გამართული მუშაობისათვის აუცილებელია ფოტო აპარატის შეძენა.

5.გზის მოვლითი ღონისძიებების თანხა გაიზარდოს 50 000 ლარით.

6. შპს ,,ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ლანჩხუთს“ გაეზარდოს ბიუჯეტი 50 000 ლარით.

7. წყლის სისტემის განვითარებას დაემატოს თანხა 32 000 ლარი.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას მართებულად მიაჩნია, რომ აღნიშნული თანხის მატება მოხდეს ბიუჯეტის შემოსავლებიდან კერძოდ; ჯარიმებსა და საურავებზე გათვალისწინებული თანხის ზრდით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნეს მერიაში.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია-
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №10

19.11.2020 წელი
14.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნას მერიაში.
მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.11. 2020 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	13 55	
2	ზაზა წულაძე	13 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	არ ესწრებოდა	
4	ალექსანდრე მახათაძე	13 55	
5	ზაალ სანაძე	13 55	
6	ოთარ პატიეშვილი	13:56	
7	ზურაბ კუკულავა	13 55	
8	ირაკლი მარშანიშვილი	არ ესწრებოდა	
9	გოგი მორჩილაძე	13.58	